N 26184-01
03/11/2016

26184-01-3-201611030026

მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №3

სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - ფინანსური დირექტორი - ბესიკ ჩიხლაძე;
კომისიის წევრი ტექნიკური დირექტორი - ლევან მეხრიშვილი;
კომისიის წევრი, დირექტორი კონტროლის სფეროში - თამაზ მამულიშვილი;
კომისიის წევრი, შესყიდვების სამსახურის უფროსი - არჩილ ზუმბულიძე;
კომისიის წევრი, იურიდიული სამსახურის უფროსი - თეა ედიშერაშვილი;
კომისიის წევრი, ადმინისტრაციის უფროსი - თევდორე კარიაული;
კომისიის სხდომის მდივანი, აპარატის წევრი, შესყიდვების უფროსი მენეჯერი - ნინო ყანჩაველი.

სხდომას არ ესწრებოდა:
კომისიის თავმჯდომარე, გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე- ექსპლუატაციის დირექტორი.

დღის წესრიგი:
- ელექტრონული ტენდერის საშუალებით, **მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების (SPA160025375)** სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის - **შპს „ყვარელრემმშენის“ (ს/ნ 241563562)** მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:
- სატენდერო კომისიის აპარატის წევრის, ნინო ყანჩაველის ინფორმაცია, **შპს „ყვარელრემმშენის“** მიერ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2016 წლის 25 ოქტომბრის №01/5946 წერილის საფუძველზე წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციის შესახებ.

განიხილეს:
- **შპს „ყვარელრემმშენის“** მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით 2016 წლის 28 ოქტომბერს წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაცია - დანართები №1, №2, №3 და №4.

აღინიშნა:
- **შპს „ყვარელრემმშენის“** მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დაზუსტებული დოკუმენტაცია შეიცავს უზუსტობებს, კერძოდ:
    - დანართი №1-ში, **მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში,** მე-3 თავის მე-2 პოზიციაზე, როგორც მასალების, ასევე ხელფასის გრაფაში დაფიქსირებულია ღირებულებები, რასაც სატენდერო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებდა. ხელფასის ერთეულის გრაფაში დაფიქსირებულია ღირებულება - 2247.48 ლარი, ხოლო ხელფასის ჯამის გრაფაში - 15’247.48 ლარი, რაც შეუსაბამობაშია ერთმანეთთან, ვინაიდან აღნიშნულ პოზიციაზე რაოდენობა არ არის დაფიქსირებული. აღნიშნული პოზიციის ღირებულება არ არის სწორად დაანგარიშებული (13’000+2247.48=15’247.48), დაფიქსირებულია 28’247.48 ლარი, ნაცვლად 15’247.48 ლარისა. ამასთანავე, მე-3 თავის მასალების ტრანსპორტირების ხარჯი არ არის სწორად დაანგარიშებული, ვინაიდან მასალების გრაფაში დაფიქსირებულია ღირებულება 13’000 ლარი, მასალების ტრანსპორტირების დაანაგარიშება უნდა განხორციელდეს 13’000

ლარიდან. პრეტენდენტს მასალების ტარსნპორტირების ხარჯი დაანგარიშებული აქვს ხელფასის ერთეულის გრაფაში დაფიქსირებული ღირებულებიდან (2247.48*5%=112.35 ლარს). აღნიშნულის გათვალისწინებით ზედნადები ხარჯები, გეგმიური დაგროვება, პირველი, მე-2, მე-3 თავების ჯამი, გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯი, დღგ და შესაბამისად, საბოლოო ჯამი არ არის სწორად დაანგარიშებული.

- აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტის მიერ თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვაში მე-3 თავის გაანგარიშებაში არ იყო უზუსტობა და წარმოდგენილი იყო სატენდერო დოკუმენტაციის ფორმის დაცვით. პირველ პოზიციაზე (რომელიც მხოლოდ სამუშაოებს ითვალისწინებდა) დაფიქსირებული იყო ღირებულება - 500 ლარი, ხოლო მეორე პოზიციაზე (რომელიც ითვალისწინებდა როგორც სამუშაოს, ასევე მასალებს) დაფიქსირებული იყო ღირებულება - 15’000 ლარი და მასალების ტრანსპორტირების ხარჯიც სწორად იყო დაანგარიშებული (15’000*5%=750).

კომისიამ დაადგინა:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოხდეს **შპს „ყვარელრემმშენის“** დისკვალიფიკაცია.
- დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, აღნიშნული შეტყობინების შესახებ, **შპს „ყვარელრემმშენის“** სახელზე გასაგზავნი წერილის პროექტის მომზადება.
- მომდევნო საუკეთესო ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის წარმოდგენილი სატენდერო წინადადების განხილვა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-12 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად.

არჩილ ზუმბულიძე

სამსახურის უფროსი

შესყიდვების სამსახური

თამაზ მამულიშვილი

დირექტორი კონტროლის სფეროში

თბილისის სატრანსპორტო კომპანია

თევდორე კარიაული

ადმინისტრაციის უფროსი

ადმინისტრაცია

ლევან მეხრიშვილი

ტექნიკური დირექტორი

თბილისის სატრანსპორტო კომპანია

ბესიკ ჩიხლაძე

ფინანსური დირექტორი

თბილისის სატრანსპორტო კომპანია

თეა ედიშერაშვილი

სამსახურის უფროსი

იურიდიული სამსახური

ნინო ყანჩაველი

შესყიდვების უფროსი მენეჯერი

შესყიდვების ორგანიზების და ანგარიშგების განყოფილება